

დრობის

გამოდის ყოველ-ღვინე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპი; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებშიც შეიძლება.

თუ საქართვებამოთხოვს, რედაქცია განსწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოცხადებულ წერილებს დაუბეჭდავად წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დრობისა» ღირს 5 კაპიკი.

„დრობის“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნახაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ РЕДАКЦІЮ „ДРОБА“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით— 8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით— 8 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ. 8 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

„დრობის“ ფასი აგვისტოს 1-დამ წლის დამლევამდე 4 მ. და 50 კ.

არწარუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქერაზედ, იძლევა ქირით მადანობი, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში.

(25—3)

თბილისი, ივლისის 28-ს.

ბევრს უნდა ახსოვდეს, რომ ამ ოცისა და ოცდაათის წლის წინად წიგნების ბეჭდვა და გამოცემა ქართულს ენაზედ სრულიად მოდად არ იყო შემოსული. მაშინ სულ ორი და სამი ქართული წიგნი არსებობდა და მით იკვებებოდა ხალხი, მით იკმაყოფილებდა თავის გონების მოთხოვნილებას. ამ სტრიქონების დამწერს, როგორც გუშინწინდელი დღე ისე აგონდება ის დრო, როდესაც მენის შრიფტიც კი ახალი შემოღებული იყო, რომლითაც ვახ. ღვინეებისა ბეჭდვა დაიწყო. 1866 წ., ხოლო აკადემიური, თუმცა დიდი ხანი იყო, რაც არსებობდა, მაინც სახელი ჰქონდა გატყევილი. სახელი ჰქონდა გატყევილი მაშინ ჯერ იმიტომ, რომ ყოველივე საკითხავი მასალა, რომელიც იმ შრიფტით იბეჭდებოდა, საშინელის ძველის ენით იწერებოდა და საზოგადოებას ძნელად ეყურებოდა ქრახების პლ. იოსელიანის მიერ იწყოება და მეორედ იმიტომ, რომ თვით ქალაქიც კი, რომელზედაც მაშინ წიგნები იბეჭდებოდნენ, მეტისმეტად გამჭვარტლული და შავის ფერი-სა იყო. ღაუმატეთ ამას, რომ ხალხისა

და საზოგადოდ ერისათვის სრულიად არავითარს მოთხოვნილებას არ შეადგენდა კითხვა და შეუჩვეველიც იყო ამ საქმეს და მაშინ ადვილად მიხვდებოდა, რა უდაბური უდაბნო უნდა ყოფილიყო მაშინ ჩვენი მწერლობა.

ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, სასიამოვნო უნდა ყოფილიყო ახლის შრიფტით დაბეჭდილი და ახალს თეთრს ქალაქზედ გამოცემული წიგნები და ვახეთი მე-70 წელთ შორის. მაგრამ, სამწუხაროდ, ვახეთი მაშინ მხოლოდ კვირაში ერთხელ გამოდიოდა და სხვა წიგნებიც, წელიწადში ერთი ან ორი პატარა ბროშურა რომ დაბეჭდილიყო, კარგა უნდა იქნებოდა.

მას უკან რამდენმა წყალმა ჩაიარა, რამდენჯერ შეიცვალა დრო და ქამი და აი დღეს წიგნთა ბეჭდვისა და გამოცემათა ბედი სულ სხვა მდგომარეობაშია. დღეს წელიწადში არამც თუ ორი და სამი წიგნის ბეჭდვა გვიჭირდება, არამედ არც ოცი და ორმოცის დაბეჭდვა გვაქვს გაძნელებული.

შველა ეს, რასაკვირველია, დიდს არაფერს არ ამტკიცებს. ასეა თუ

ისე, მაინც ჩვენი გონებრივი სიმდიდრე, ჩვენი საგანძველო—ესრედ წოდებული ლიტერატურა—ბევრს თხულებასა და გამოცემას ვერ დაასახელებს ისეთს, რომლითაც ამაყობა და თავმოწონება შეიძლებდეს. პერიოდულ გამოცემათა რიცხვი ისე მცირეა, ხოლო ცალკე თხულებათა გამოცემა თუმცა წინ არის წარსული, მაგ., საბავშვო საკითხავი წიგნებისა და სახელმძღვანელოებისა, მაგრამ მაინც კიდევ სასურველს სისრულეს და მტკიცე ნიადაგზედ დამყარებულის საქმის ხასიათს ჯერ ისევ მოკლებულია.

შველა გამოცემათა შორის უკეთესი ბედი ეწვია ამ ჩვენს დროში ისტორიულსა და ძველს ლიტერატურულ თხულებათა ბეჭდვას და გავრცელებას. სულ ერთი წელის განმავლობაში დაიბეჭდა, ანუ იბეჭდება და დღე დღეზედ მოველით სხვადასხვა გვარ კლასიკურს შრომასა და გონებრივ ნაღვაწეს ჩვენთა მამა-პაპათა. ამ უკანასკნელთ შორის უნდა დავასახელოთ: ლექსიკონი საბა სულხან-მრბელიანისა, რომელიც წარმოადგენს საფუძვლიანს შრომას და რომლის გამოცემაც, რამდენადაც გავგიგონია, საუკეთესოდ და დიდის ბეჯითობით, მხნეობით და გულს-მოდინებულ დაასრულა პატივეცემულმა თ. რ. შრისთავმა, აგრეთვე „მისრამიანი“, ანუ მისისა და რამინის ამბავი. ამ ბელეტრისტულ თხულებას მე-XII საუკუნისას მოიხსენებს რუსთველიც თავის მეფევის-ტყაოსანში. მან ამ თხულებებისა, რომელიც ეხლა დაიბეჭდა და მალე გასასყიდად

გამოვა, ძლიერ უახლოვდება შოთას ენას. შინაარსი წიგნისა რომანიულია. მხატვრობა, რომლითაც აღწერილია მომქმედთ პირთა ხასიათი და შემთხვევანი, როგორც ამბობენ მკოდნენი და თვით სამი პირისაგან შემდგარი ამ წიგნის რედაქციული კომისია, საკვირველია, განსაკვირვებელია. წიგნი, როგორც ამ ბოლოს დროს აღმოჩნდა, წარმოადგენს ნათარგმნს სპარსულიდან, მაგრამ ეს გარემოება თხულებებისადმი ინტერესს არ უნდა ამცირებდეს, რადგან ეს თარგმანი იქნება ისე მოხერხებული, რომ ბევრად გადასხვაფერებულია დედანი, იქნება ენასაც არაფერი გაელენა არ დასტყობია უცხო ენიდან თარგმნისა, აზრის მიმდინარეობა აგრეთვე იქნება სრულიად ქართული დარჩა.

უნდა დავასახელოთ აგრეთვე «ძილილი და დამნა» ახლად დასაბეჭდად განზრახულ თხულებათა-შორის. ამ თხულებათაზედ ჩვენს ვახეთში იყო რამდენჯერმე ლაპარაკი და აქ ბევრს არას ვიტყვი იმის მეტს, რომ ეს წიგნი საყვარელს წიგნს შეადგენდა ძველს დროს ჩვენს ქვეყნის მმართველთა და გამგებელთათვის. არც ერთი თავადი და აზნაური, რომელიც მოწოდებული იყო სამეფო სამსახურში რაიმე მონაწილეობისათვის, ამ წიგნის წაუკითხველი არა რჩებოდა. თვით მეფესა და ქვეყნის პატრონისათვის ხომ იგი თითქმის მუდამ საჭირო წიგნს შეადგენდა სახარებისა და სამოციქულოს შემდეგ.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანშივე გამოვა ისტორია და გეოგრაფია სავაზებს, და უმეტესს ნაწილს ვენახისა კი უნებლად სტოვებენ.

ამას გარდა, ყველა ეს ავადმყოფობანი და მათ შორის ოიდიუმიც, (Oidium Fuckari) ქართულად ხატრად წოდებული, მხოლოდ ვაზის გარეგანს ნაწილებს ასწეულებენ, ესე იგი ფოთლებს, მარცვლებს და ყლორტებს, და ამიტომაც ადვილი გამოსაცნობიც არიან. თვით ექიმობაც ამ ავადმყოფობათაგან შეპყრობილის ვაზებისა ისე ძნელი არ არის. მს ავადმყოფობანი ვაზების ფესვებს არ ეყარებიან, რის გამოც მათი გარეგანი ნაწილები რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ განახლებიან ხოლმე და მით აღორძინებენ ვაზის ძალას.

მხოლოდ 1868 წელს აღმოაჩინეს მეცნიერებმა, რომ ახალს საშინელს ავადმყოფობას აჩენს ერთ-გვარი ჭია, რომელიც სცხოვრობს დასწეულებული ვაზების ფესვებზე.

«დრობის» ქელტონი ივლისის 28.

პასუხად ა... ს.

მკუხუბნაან: უკითხოდ მკან მქანდეს თავ-მოუწონება! რა კვმნა, რომ უინი და მტრობა ამ ჩემს გულს არ კვარება!..

უხასიათო კვანთავართ, ზოგჯერ რომ შეკსტკვი ჩემს სიტყვას და მითი საუმჯობესად ვიცვლი წამიერ გულის-თქმას!

რა კვმნა, რომ სხვა გვარადა სჭრის ჩემი ტანჯული გონება და გკმნობა ახიკუბული სხვის კანხის არ ემონება.

რადესაც ჭია გვაწუხებს, გკვებნს და მით გვაძლევს კნებას, მაშინ ჩვენს გუფოთავთ, გმრისხანებო და გვარგავთ მოთმინებას.

მაგნამ რადია გკმონდება და ვერ გვაწუხებს კენითა, აღარ ვიგონებთ მას გულით და არც ვასხიხებთ ენით!

ადამიანიც ისეა: ისიც ჭია და მატლავი და უსუსტარი მის მტრობა მას რა ჭკუა და მადლია?!

აკაპი.

ქილ მძხარა*)

ვაზის ახალი ავადმყოფობა

I

ვაზის ახალი ავადმყოფობის გაჩენა.

თხუთმეტი წლის წინად დასავლეთს მეროპაში შენიშნეს, რომ ვაზები ფუტ-


*) ეს აღწერა ფილოქსერის ცხოვრებისა გამოცემულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან და ჩვენ ფრიად საჭიროდ

დებოდნენ თითქო სრულიად უმიწეზოდ, ცუდად ჰყვავოდნენ, მარცვლები ნელ-ნელა ევსებოდნენ, სჭკნებოდნენ და ცუდად მწიფდებოდნენ; შტოები გვიან იზრდებოდნენ და მკლენი იყვნენ; საშემოდგომოდ ამისთანა ვაზების ფოთლები ყვითლდებოდნენ და ჩვეულებრივზე უმაღლ ცვივდებოდნენ. მთხისა და ზოგჯერ ხუთის წლის მეტის განმავლობის შემდეგ, ამგვარი ავადმყოფის ეწინახევიან, გარდა ვადამხმარის ვაზებისა, აღარა რჩებოდა-რა.

მანსა სჭირვებია და სჭირს კიდევ სხვა-და-სხვა ავადმყოფობანი, ზოგჯერ ერთობ აღმაოხრებელნი, მაგრამ ყველა ესენი ან მხოლოდ დროებით უშლიან ვაზსა ზრდას და მით მოსავალს ამცირებენ, ან და თუ საბოლოოდ ამბობენ, ამბობენ მხოლოდ ცალკე

დაგინახეთ მისი დაბეჭდვა ქართულად, მეტადრე უნდა, როცა ფილოქსერა შუა-გულ თბილისშიაც აღმოჩნდა.

რედ.



ქართველთა ბატონიშვილის მახუმ-ტისა, რომელსაც ბეჭდავს თავის ხარ-ჯით ერთი მწიფეობის მოყვარულ-თაგანი და რომლის გამოცემასაც გა-ნაგებს ბ. ლ. ბაქრაძე, ეს ჩვენი თითქ-მის ერთად-ერთი ისტორიკოსი. რო-გორც ნამდვილად შეტყობილი გვაქვს და, რომ შეტყობილი არა გვაქონ-დეს, დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ წინ-და-წინვე, რომ ეს გამოცემა ნამდ-ვილის მეცნიერულის სისრულით შემ-კული იქნება, საჭირო განმარტებით, შენიშვნებით და კომენტარებით შევ-სებული და განმარტებული.

ქლასიკურ თხზულებათა გამოცემა ჩვენ კერძოდ დიდად სახუფემო მოე-ლენად მიგვაჩნია. იმ გარემოებას, რომ ჩვენი მწერლობა და ლიტერა-ტურა დღეს არ დაწყებულია და დღეს არ გათავდება, რომ ჩვენი ენა და გონებრივი განძი დაცულია დღეს გა-მოქვეყნებულ და გამოცემულ წიგ-ნებში, რომელნიც სხვაფრთვაც ბევ-რად სასარგებლონი, გამოსაყენებელი და საინტერესონი არიან, როგორც ისტორიკოსი და ლიტერატურული სახსოვარნი წარსულის ცხოვრებისა, — დიდად და დიდად საგულისხმიერო და საყურადღებო მოვლენად ესახეთ. როდესაც თხუთმეტისა და ოცის წლის წინად შეესტყვირით ორსა და სამს დაბეჭდილს წიგნს, „ბუნების კარს“ და „პანანს“, თ. ბ. შრისთავის თხზუ-ლებათა და სკანდარნავეს სასიმილო-ლექსებს, „მაცია ადამიანის“ პეტერ-ბურგულ გამოცემასა და იქვე დაბეჭ-დილს „ჩონჯურს“ და „ოსკრის“ ნომ-რების მეტეორად მოვლინებას, ჩვენს გულსა და გონებას საშინელი და სა-ზარელი წინად-გონიერობანი და წინად-ზრახვანი ელანდებოდენ, ჩვენს მწერ-ლობას არსებობის სიმტკიცე არა ჰქონ-და, მის დღეგრძელობაში დარწმუ-ნებულნი არ ვიყავით და თითქო ვგრძობდით, რომ აი დღეს თუ ხეალ შესწყდება ნების ოდნად მო-

კამკამე ცხოველი წყარო, დღესა თუ ხეალ შესწყდება სიცოცხლის ძაფი მწერლობისა და მასთან ერთად, ვაი თუ, თვით ენისაც. ხოლო ამ უკანა-სკნელს გარემოებას რა მოჰყვებოდა, მკითხველს კარგად მოეხსენება.

მაგრამ, მაღლობა ღმერთს! სიცო-ცხლის ძაფი არ შესწყდა, შინი და ბნელი ზრახვანი და წინად-გონი-ბანი არ აღსრულდენ და ნების ოდნად ცხოველი წყარო დიდს ნაკადულად გალიქა.

ღღეს ჩვენს მწერლობას მოეძებნე-ბა თითქმის ყველა საუკეთესო კლასი-კური თხზულებანი, ყველა ლი-ტერატურული სახსოვარნი. თანამე-დროვე მწერლობა წარმოადგენს ცო-ტად თუ ბევრად განცხოველებულს მოღვაწეობას წიგნებისა და ყურნალო-ვაზეთების ბეჭვდით და გამოცემათა სიმრავლით. ჩვენს გაბედულობა იქამ-დე მივიდა, რომ 10,000 მან. არა ეზოგავთ ჩვენს საყვარელს და ძვირ-ფასის წიგნის გამოსაცემად სურათე-ბით და ნახატებით, რომელსაც რუ-სეთის საუკეთესო მხატვარი გვიხატავს და რომელსაც ქვაზე გვიჭრიან გამო-ჩენილს ქალაქს ლეიბციგში.

შინაური ძროხისა.

== ჩვენ შევიტყუეთ, რომ სცენის მოყვარულთა წრეს სურამში განუზ-რახავს რამდენიმე წარმოდგენის გა-მართვა ამ ზაფხულის განმავლობაში „წერა-ბითვის საზოგადოების“ სასარ-გებლოდ და რამდენიმე პიესა უკვე დაუბარებიათ თბილისიდან.

== ზემინ დაიბეჭდა და ისყიდება ცალკე ნომრებით ერთად-ერთი ნომერი გაზეთის „მთაწმინდა“-სი, ბ. ნ. მანანოვის რედაქტორობით, რომელმაც, როგორც ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, ეს ნომერი იმიტომ გამოსცა, რომ უფ-

ლება არ დაეკარგოს რედაქტორობისა და გამოცემლობისა.

== თბილისის სახელოსნო სასწავ-ლებელში ხელმძღვრედ ეგზამენები და მიღება დაიწყო 20 აგვისტოდამ და სექტემბრის 1-ამდე გაგრძელდება. თხოვნა მიღებაზე ქალაქის გამგეობას უნდა მიეცეს. მიღების მსურველთ უნდა იცოდენ შეგნებული კითხვა და წერა დედა-ენაზე და რუსულად, არითმეტიკის წესები, უმთავრესი ლო-ცვები და მოთხრობანი სამღეთო ის-ტორიიდან. უნდა იყვნენ საღნი, მა-გარის აგებულებისანი და 13 წლისაზე არა ნაკლებნი.

== მუთასიდან გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში იქ კინალამ უბედუ-რება არ მომხდარა ქრისტიანთა და ებრაელთ შორის. მიზეზი ისევე ის უსაფუძვლო და საძაგელი ცრუ-რწმუ-ნება ყოფილა, რომლის ძალითაც ხალხსა სჯერა, ვითომ ებრაელი ქრისტიანს ბავშვს აწვალდენ და მის სისხლს ცოში ხმარობენ.

პი საქმე როგორა ყოფილა: ერთს პარიკმაზერს თავისი სამის წლის ქალი ბიჭისთვის სასიეროდ გაუტანებია ბულვარზედ; უეჭველია, რილათიც გართულს ბიჭს ასცდენია პატარა ქა-ლი, რომელსაც დაქარგვია გზა და წუთზედ მთელი მუთასი ფეხზედ დამდგარა.

ხალხში დაეძახნა ერთს, რომ უთუოდ ურიები წაიკვანდენო და ეს ხმა ელვასავით მოსდებია ხალხს. „ღებოკოთ, გაწყვიტოთ ეგ ქრის-ტიანების სისხლის-მსმელები და მო-ვისეწოთო“, იხახდა ხალხი და თან-და-თან ექსტაზში შედიოდა. საცო-დავი ურიები გულის ძგერით მოე-ლოდენ თავიანთ აკლებას და დაწო-კებას, რადგანაც ხალხი უახლოვდე-ბოდა მათს უბანს.

შოველივე მეცადინეობა მათ შესა-ჩერებლად ამაო იქნებოდა, თუ სა-თელი, რომელიც შემდეგ ნაცრის-ფრად ეცვლება.

რვა ანუ ათი დღის შემდეგ ამ კვერცხიდან გამოიჩეება მატლი, რომელიც ძალიანა ჰგავს თავის დე-დას, მაგრამ მასზე მომცრო არის. ნორჩი ფილოქსერა ერთობ სწრაფია და მოძრავი, მალე მოიძებნის თავის-თვის ვაზის ფესვზე მოსათავსებელს ადგილს, ჩააფრინდება მას და მისდევს თავის დედის დამატკეპარს შრომას. 20 დღის განმავლობაში, სამჯერ ფერის-ცვლის შემდეგ, ფილოქსერა მოზრდილ ქიად იქცევა და თე-ოთანაც იწყებს კვერცხების დებას. თუ რამდენად შრავლდება ფილოქ-სერა, ეს იქილამ სჩანს, რომ ერთი ზაფხულის განმავლობაში თითო ფილოქსერის მოდგმა შეადგენს რამ-დენიმე ათს მილიონს შთამომავალს, თუმცა კი შემდეგთა მოდგმათა მშო-ბიერობა ცოტ-ცოტათი მცირდება.

ბ) ფრთიანი ფილოქსერა. აწველა ფილოქსერა მარტო სამჯერ

ბედნიეროდ, დაკარგულნი წაეწმეცნა ა-ზედ პოლიციელს მარტო ერთად და ხის თვალ-წინ მშობლებისთვის არ ჩაებარებინა.

ამ სახით ხალხის უსაფუძვლო და ცრუ-რწმუნება კინალამ ქრისტიანი და ებრაელი ერთმანეთს არ შეატაკა და კინალამ ერთი ცემა-ტყევა და ვაი-ვაგ-ლახი არ ატყდა.

== ამიერ-ქავკასიის საჭილოქსერო დასი ამ თვის 16—23 რიცხვამდე სწამლავდა და სწავდა ნავით მთელს იმ სიერცეს, რომელიც ვაზებს უჭი-რავთ ბ. ზუბალაშვილის ბაღში „ლონ-დონის“ სასტუმროს გვერდით. მუშა-ობის შემდეგ ყოველდღე მუშების ტანისამოსი და ფეხ-საცმელი დეზინ-ფექციის შემწეობით გასუფთავდებო-დენ ხოლმე. ადგილის მოსაწვავად 600 ფუთი ნავთი მოუნდომებიათ და 50 ფუთი მაზუტი.

== ივლისის 24 და 25 ამავე დასს დავკირვებით უძებნია ფილოქსერა პ. მ. შირზოვეის ბაღში, თბილისის ახ-ლო, სოფ. აკვალაში, მაგრამ ფი-ლოქსერა არ აღმოჩენილა (გაზ. „მთა-წმინდა“).

== „ნოვოე შრემია“-ში სწერია, რომ საქართველო-იმერეთის სინოდა-ლურის კანტარის წარდგენილობით, უფშინდეს სინოდს გადაუწყვეტია: გაუქმდეს საიშისა და ტყელათის მა-მათ მონასტრები, რადგან მათში მღვდელ-მონაზონნი არ იმყოფებიან და მათ სამაგიეროდ ტყელათში და-წესდეს დედათ ამხანაგობა.

== ქონსტანტინეპოლიელი გაზეთი „არაველიკი“ მწუხარებით ატყობინებს თავის მკითხველებს, რომ იქაური პა-ტრიარქი ნერსესი აგერ რამდენიმე დღეა, რაც ძალიან ავად არისო. მქი-მების გადაწყვეტილებისამებრ მას აღე-კრძალა წიგნის კითხვა და საზოგა-

ფერის ცვლას არა სჯერდება; ზოგი-ერთნი მათგანნი, ზაფხულობით, უკე-თესი საზრდოს გამო, თუ სხვა მიზე-ზით — მეოთხედაც იცვლიან ფერს და პატარა პარკებს იკეთებენ. ამას-თანავე, გამოცხმით ფრთის ნახაზნი, რომელნიც შემდეგში ნამდვილ ფრთე-ბად გადაექცევათ. ამ ნაირად ფრთა-შესხმული ქიასტოვებს ფესვებს, ამოდის მიწის ზევით და ბინადრდება ვაზის ფოთლებზე, რომელთა წინთაც თავს ისაზრდოვებს.

ბ) დედლი და მამალი ფილოქსერა. შრთიანი ფილოქსერაც დაუბავლა-ვად სდებს კვერცხებს, სულ 3 თუ 4-ს, რომელთ შორის ზოგი უფრო წვრილია და რუხის ფერისა, ზოგიც უფრო მოდილობა და ბაცი-ყვითელი ფერისა არის. კვერცხსა სდებს ფოთ-ლების ძარლებში; წვრილი კვერცხე-ბილამ 8 თუ 13 დღის შემდეგ იჩე-ვიან მამალი ფილოქსერები და მოდი-ლოებილამ დედლები.

II

რა არის ფილოქსერა ანუ ვაზის ტიფი.

მეცნიერებმა ამ ქიას დაარქვეს ლა-თინური სახელი ფილოქსერა (phylo-xera vastatrix); რუსულად მას უბა-ხიან ვაზის ტიფს, რადგანაც ეს ქია ძალიანა ჰგავს სხვა-და-სხვა გვარს ტიფს, რომელნიც სცხოვრობენ შრავალ მცე-ნარეთა ფურცლებზე, მაგალითად, კი-ტრისაზე, მღოვრისაზე, ვარდისაზე და სხვ. სიდიდით ეს ქია ნემსის ყურწზე მეტი არ არის და მარტივის თვალთი ძლიერს შეინიშნება. მანმადიდებელის ქიქის საშუალებით იგი ასე მოჩანს: მოგძოა, წინ მომრგვალებული, მო-კაუჭებული, ძირს-დახრილი თავი აქვს, უკან კი მომრგვალებულია ანუ დავიწროებული; ტანი გამჭვირვალნი აქვს, ყვითელისა ანუ რუხე-მომწვანო ფერისა არის. შემოდგომაზე ეს ფერი რუხედ იცვლება. შიას სამი წყვილი ფეხი აბაი; თავზე აქვს ორი რუხე

თვალი, ორი პატარა უღვაში, ირი-ბულად ჩაქრილის ბოლოებით, და პირის ნაცვლად — ერთი რთული და ლონიერი ხორთუმი აქვს რომლითაც ქია ეტანება ვაზის ფესვების ნაზ ნა-წილებს, რომ გამოსწოვოს მათ თავის საზრდო წვენი.

III

ფილოქსერის გამრავლება.

ა) უფრთო ფილოქსერა.

ფილოქსერა უპირატესად არის არა-მსქესებრივი ქია, ესე იგი — იგი იშო-ბება დაუბავლადად. ზაზაფხულის დამ-დგისთანავე იგი იწყებს კვერცხების დებას, ვიდრე შემოდგომაამდე, სიცო-ვეების დაწყებამდის; თითო ქია სდებს 30—60 კვერცხს. შემოდგომაზე ფი-ლოქსერა ჩადის მიწის სიღრმეში და მთელი ზამთრობით ძილს ეძლევა. თითოეული კვერცხი ამ ქიისა თი-თქმის თვით ფილოქსერის ნახევ-რის ოდენაა. იგია მოგძოა ქარბისა, ლიბი ვზედა-პირისა, ფერი აქვს ყე-

დოდ ყოველ-გვარი გონებრივი შრომა. ივლისის 17 ექიმებს ბჭობა და გამორჩევა ჰქონათ.

== მოსკოვის უწყებებში სწორია შემდეგი: „მოსკოვის უნივერსიტეტმა გაგზავნა ამჟამად სამ ლეონს — გარედ მივბათა და გამოკვლევათათვის ზოოლოგიის მაგისტრი ა. ტინომიროვი, რომელიც მოსკოვში აბრეშუმის წარმოების კომიტეტის წევრად ითვლება. სახემწიფო ქაინებათა სამინისტროს მიუქცევიან ამ გარემოებისათვის ყურადღება და, რადგან იგი იმის ზრუნვაშია, რომ აბრეშუმის წარმოება გააერთიანოს და გააუმჯობესოს, როგორც სამხრეთ რუსეთში, ისე ქვეყანაშიც, უთხოვინა ტინომიროვისათვის, რომ მან რუსეთის წარმომადგენელის ალაგის დაპირების მიხედვით აბრეშუმის წარმოების ხალხთა შორის კომიტეტში და შეჭრიბოს ყოველგვარი ცნობანი ამ საგნის შესახებ. მაგ., რადგან ქვეყანაში განზრახულია აბრეშუმის მოვლის სკოლა დაარსდეს და აგრეთვე მასთან სტანკაც აბრეშუმის გრების საცდელად, ამისათვის სამინისტროს მიუწოდებია ტინომიროვისათვის შეიტყოს, როგორ არიან მოწყობილნი საფრანგეთში, იტალიაში და ავსტრიაში ის დაწესებულებანი, რომელთაც საგნად აქვთ აბრეშუმის წარმოების განვითარება მოხსენებულ ქვეყნებში, რომელნი მათგანნი არსებობენ მთავრობის საშუალებითა და ლონისძიებით, ხოლო რომელნი არიან მცირე პირთა-მიერ დამკვიდრებულნი. ამას გარდა, მიენდო მას საზოგადოდ აბრეშუმის წარმოების მდგომარეობაზე შეკრიბოს სრულნი ცნობანი, რისათვისაც ხენათვის და სასოფლო მეურნეობის დეპარტამენტმა გაუგზავნა მას ერთი პრაგრაფი კითხვებისა. მისნი გამოკვლევანი ამ კითხვების პასუხს უნდა შეადგინდეს.

== მას. „რუსი კურირს“ შეუტყვიან, რომ ამ დღეებში მთავრობას გადაუწყვეტია რძის მეურნეობის სკოლების გამართვა ქვეყანაში. ამ სკოლებს ის დანიშნულება ექნება, რომ მოამზადოს კარგი ყველის-მკეთებელი პრაქტიკები, რადგანაც ამ საქმის წარმოება ქვეყანაში მთავრობას სასარგებლოდ უყენია.

დროების კორექცია.

სოფ. სკანდეს (შოკაძის მზრახ), ივლისის 10-ს. იმერეთში ბევრს ალაგას შემკირდა ცრუ-მორწმუნეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის თქმა შოკაძის მზრახზე კი ყოველად შეუძლებელია, სადაც ცრუ-მორწმუნეობა და მატყუარაა გაღმერთება დღითი-დღე ძლიერდება და უფრო ფესვებს იღვამს. სხვა, გარეშე სოფლებზე არა რას ვიტყვი, მოგახსენებთ მხოლოდ ს. სკანდესზე, რომლის მდგომარეობაც დაახლოვებითა მაქვს გაცნობილი; ეს სოფელი, სხვა სოფლებთან შედარებით, იმდენად ვითომ ბედნიერია, რომ ჩვენი მაზრის სხვა სოფლებები ექნებ შურითაც უყურებდნენ მას.

სკანდესს ადგილობრივი მცხოვრებნი ორ ნაწილად ჰყოფენ: ზემო სკანდეს და ქვემო სკანდეს; თითო სოფელი დიდი არ არის. ადრე მთლად სოფლის ბედ-ილბაღს განაგებდა ერთი ძებლა-კულურა დედა-კაცი, რომელიც არა თუ სკანდესში, თვით მაზრაშიაც დიდი სახელ-განთქმული ბრძანდებოდა, როგორც სახელმწიფო მკითხვეი და ვითომ ექიმიც; ამ გვარი მატყუარა, რასაკვირველია, ყოველთვის თავიანთ-მცემელს მოიპოვებს მდებარე ხალხში და ამასაც ესე მოუვიდა. „ტყავაძეობას“ ეს დედა-კაცი მოჰყვა და ეხლაც ამავე ურცხვ ხელობას ადგია და უშიშრადაც მოქმედობს.

რომელიც დემევა ვაზის ფესვებზე და იქ მრავლდება გამრავლების განახლებული ძალითა. ამ ნაირად, ზამთრის კვერცხი არის ფილოქსერის გამრავლების ძალის მომმატებელი.

IV

როგორა ვნებს ფილოქსერა ვაზსა.

რაკი ფილოქსერა ვაზის ფესვებზე იყვებება, ამით იგი აჩენს მასზე ხეანჯებს და კოპებს რომელნიც შემდეგ ლაზებიან. ამ გვარი ლაზობა იწყება კანიდამ და გადადის ვაზის ფესვის შუაგულში, და რაკი ფესვი გაუფუჭდება ვაზს, აუცილებლად თვითონ იგიც უნდა გადახმეს. ასეც ხდება იმ ვენახებში, რომელნიც ფილოქსერით არიან დასნეულბულნი.

V

როგორ ვრცელდება ფილოქსერა

ფილოქსერა ვრცელდება სამგვარად: 1) უფროთა ფილოქსერის გადასვლით;

ამის სახელი არის მარინ, მოკონა-შვილისა, სცხოვრებს ზემო სკანდესში. ქვემო-სკანდესი დედა-კაცი არ ჩამოჩენ ამ გაიძვეა დედა-კაცი, მათაც გაიძვეს რომ ამ გვარი მოქმედება, მატყუარობა უშიშრომელ ლუქმას აძლევს მის მიმდევარს და აქაც აღმოჩნდა ერთი თვალ გამოთხრილი დედა-კაცი, ალათი ბურეშიძისა, რომელთანაც თავის რიგზე დღითი დღე არა თუ მახლობელი სოფლებიდან, შორიდანაც (მლოცველებივით) მოდიან. ამ უკანასკნელს კიდევ პირველზე მეტს მნიშვნელობას აძლევენ, რადგან ცალი თვალის გამოთხრილი აქვს და, ზოგიერთების ფიქრით, ეს უმაღლესი მისწობის დამამტკიცებელი ნიშანია.

ქვემო-სკანდესშივე სცხოვრებს ერთი ლარიბი გლეხი პავლია შართლადე, რომელსაც ერთი დროსა და უამს გადასული ქალი ჰყავს; ეს უკანასკნელი იყო შეგირდი გამოჩენილი მკითხვეის ალათი ბურეშიძისა და კიდევ იმისავე ხელობას დაადგა. — უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალში კიდევ ბევრს შეგირდებს შეიძენენ, რის წყალობითაც ჩვენს ქვეყანას „სკოლა მკითხვეთა აღზრდისათვის“ შეემატება და, უმისოდაც სხვა-და-სხვა გვარი მცარცველებით აღესილ მხარეს, მეტი მცარცველები ბოლოს მოუღებენ. ამ გვარად ეს სამი დედა-კაცი სამივე კუთხით შემორტყმიან ლატაკ სკანდეს და რადგან უნდა აყენებდნენ მას, ადვილი გასაგებია.

ბ. სკანდელი.

ყრილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! თქვენის პატრიარქის გაზეთის მე-160 №-ში, ილია ჭყონის წერილში, ერთი შეცდომა შეპარულა, კითხვებში ჩაიღვრა და მანა“ თ. გრიგოლ გურიელის და ეჭვითავე სელამის საწყით იბეჭდებო.

2) ფრთიან ფილოქსერის გადატრენით და 3) ამ ქიის კაცისაგან გადატანიით.

1) უფროთა ფილოქსერის გადატანიით. მრთი ვაზის გახმობის შემდეგ, მის ფესვებზე მცხოვრებნი ყველა ქიე-ბი ახლო მყოფ ვაზებზე გადადიან და ამით გადახმობაც აგრეთვე აუცილებელი ხდება. ამ ნაირად, ფილოქსერისაგან დასნეულბული ადგილი ყოველ მხრივ ფართოვდება და ორი-სამი წლის უკან ვენახში ჩნდება მთელი მოედანი გაღამხმარი ვაზთაგან მოცული; ეს მოედანი თან-და-თან ვრცელდება და ბოლოს მთელს ვენახს იპყრობს. ამ გვარად ვენახის აოხრება ამ ავადმყოფობისაგან, სულ ოთხი თუ ხუთი წლის განმავლობაში ხდება, და ეს ადვილი ასახსნელიც არის, თუ გაეხსენებთ, რა საოცარის ძალით ვრცელდება ფილოქსერა. მრთი ვენახის აოხრების შემდეგ ფილოქსერა გადადის მეზობ-

უმორჩილესად გთხოვთ, ბ. რედაქტორო, გამოაცხადოთ, ვინაა ეს სხვადასხვა წიგნი იბეჭდება მხოლოდ ქვეყნის მუდმივი თავადი გრიგოლ გურიელის საწყით და მე მაქვს მონდობილი მატკო მისი დაბეჭდვა და რაგინა და გამოცემა. თუ როგორ შეეცდებოდნენ თავადი გრიგოლ გურიელის მონდობილობას, ამას შემდეგში, როდესაც წიგნი გამოიცემა, ნახვით და მასუსხად მაშინ ვაგებ.

უ. ხელაძე.

ივლისის ივლისის 26-ს.

ცელეგრები

(„ჩრდილოეთის საჯარო სკოლა“)

ივლისის 26

ლიპსკი. დღეს, დიპეცკიდან ორს ვერსზე რეესებიდან გადავიდა საგანგებო მატარებელი, რომელშიაც ისხდნენ: დირექტორი გზისა, ინჟინერი, ტელეგრაფის უფროსი და კონტრაქტორი. ლოკომოტივი, ტენდერი და სამი ვაგონი გადმობრუნდნენ და დაიშლნენ. დირექტორის ვაგონი უვნებლად გადაინახა; მოიკლა მამონისტიის თანამემწე და სამი ვაგონი დაიჭრა. ვაგონის სიგძეზე გაფუჭდა.

პარიში. გუმინდელ დღიდან დღევანდელ დღიდან მოკვდა ხოლერით ტულონში 5 და მარსელში 6 კაცი.

ივლისის 27

პატიმარბი. სახალხო განათლების მინისტრი თავის ცირკულიარში აფთხილებს მზრუნველებს, რომ მედამ თავლ-ურეი ეჭირათ იმ შეგირდებზე, რომელნიც მშობლებთან არა სცხოვრო-

ლად მდებარე ვენახებში და თან-და-თან ასე იწვეს. ამ ნაირად იქ, სადაც ვენახები ერთმანეთზე ახლო არიან, როგორც, მაგალითად, იმ ქვეყნებში, რომლებშიაც საკუთრად მევენახეობას მისდევენ, მალე გავრცელდება ამ ავადმყოფობისა აუცილებელია; მაშასადამე, აუცილებელია თვით ვენახების ერთიანად გადახმობაც. ამ გზით ავადმყოფობის მალე გავრცელება დამოკიდებულია ნიადაგის თვისებაზედაც. რაც უფრო მეტად დასერილი და დახეთქილია მიწა, მით უფრო ადვილად გადაე-გადმოვა კია ერთის ფესვიდან მეორეზე; ქვიშიანი ნიადაგი კი უფრო მეტს დაზარალებას ახვედრებს კიბს გადასული-სათვის.

(შემდეგი იქნება)

ბენ. ამას გარდა აფთხილებს აღ-
მზრდევლებსაც, რომ ისინიც ჰა-
სუნის მგებელნი იქნებიან დირექ-
ტორებთან და ინსპექტორებთან
ერთად, თუ მათდამი მონდობილ
კლასში აღმოჩნდება დამღუპავი
გავლენა მავნებელ აზრთა, ანუ
ახალგაზდა ემანუილი მიიღებენ
მონაწილეობას ბოროტ მოქმედთა
საქმეში.

შემოდგომაზედ შეიკრიბება გან-
საკუთრებული კომისია გადასასინ-
ჯავად იმ კანონებისა, რომელნიც
შეეხებიან სავაჭრო კავშირს რე-
სეთისას ჭინჭინდისათან.

იული. გუშინ ამპერატორი ვიდ-
ჰელმი გამოეთხოვა ავსტრიის იმ-
პერატორს და წავიდა იმლიდამ.


რომი. სამშაბათს და ოთხშაბათს
მხოლოდ ორი შემთხვევა იყო ხო-
ლერით ავად გახდომისა პანიე-
რალში და ვარინიანში.

თსა და იარალს, რომელიც არ გამო-
დგება, ქარხანა უკან მიიღებს და ფულს
დაუბრუნებს მსყიდველს, ან სხვაზე
შეუცვლის სურვილისამებრ. ქარხანა-
ში არის გასასყიდად ჩვენგან გაცემე-
ბული და გაუმჯობესებული მოწყო-
ბილობა (აპარატი) წიწილთ საჩეკად
ხელოვნურის წესით, უკრუხოდ. სია
აპარატებისა და ჩემ-მიერ მომზადბუ-
ლის ნივთებისა და აგრეთვე დარიგე-
ბა წიწილთ-საჩეკის მოხმარებისათვის
გავეჭვანება მსურველს მუქთად. ქარ-
ხანაში მიიღება აგრეთვე შეკეთა წყლის
წისკილის გასაკეთებლად. შმორჩი-
ლესად ესთხოვთ ქალაქის გარეშე შემ-
კვეთელთ თავიანთი აღრესი გარკვე-
ვით დანიშნონ. ქარხანის კანტონა
ლიაა მუდამ დღე 8 საათიდან 2 სა-
თამდე და 5—8-მდე საღამოთ, კვი-
რა, უქმედლის გარდა.

ქარხანა მალე მიიღებს სამშენებელს
იარაღებს, ხოლო მიღებამდე საუკე-
თესო მალაზიებიდან იყიდის და გაუფ-
ხავნის თავის მუშტარს.

(10—6)

ინგლისური ჩინის პრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთადგან და
ორის საწოლი 14 მანეთადგან, მათი
ლეიბები, ზღვის ბაღასით გატენილი 5-
დგან 8 მანეთადგან. გიდეკ შუქდუგი ნიუ-
თეპა იყიდება 25% -თ უფრო იაფად,
გიდეკ სხვაგან სადმე: ბრიტანის მეტა-
ლის ნიუთეპი, ჩაიდნები, სკადაქე, სა-
შაქე, ჩაის და სტაფის გოგუბები ჩანგ-
ლებითა, ფაღნოსი, დასადგმელი, შინის-
სახანი, სტაქნები, სუფოვანიგი, საწყაო,
სკეპი, რიუშეები, გრაფინგები, საქაშური
თეფშები, ბლუდები, სასაღათეები, ტაშ-
ტები, საძეკეები, სამაწილეები, გაწი-
ცის საფეკეები, უხანგები გაცისა და
ქაღისა; ალვირები, ხლისტები, ტანისა-
მოსის დასაკიდებლები, საბაღა მკრატ-
ლები, გაქსები, უთაები, წისკილები,
სეჩსები, ქლოები, გლიტეები, ინგლისის
თოფები და რეკოლეკრები, პიუები, ზა-
რიადები, გაშისულები, სოფანგები, ნიხ-
ბები, გატრებრუფი, სახნები, ჩუქლები,
წინდები, სუფრები, საღებტეებისათვის
რგოლები, ემადიანი ქუტკელი, მუწა-
ბები, გამეკრები, პაგულები, სოფსები,
ზღვის ბაღასი, დიმიტიკანები და სხვ.
ინგლისურს მალაზიებში №№ 156-
157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს
ეურადდება მიაქციეთ. (100—33)

გამოვიდა და ისყიდება:

განკიცხული

მოხრობა
ა. მ. მოხრუბარძის (ყაზბეგისა)
ფასი ათი შაური.
თბილისში, «დროების» რედაქცია-
ში და ბ. რ. ჩარკიანის მალაზიაში.
ქუთაისში. შილადის მალაზიაში.
თელავში. ბ. როსტომაშვილთან.
ფოთში. ბ. ხუმარაძის მალაზიაში.

სანთელი სტარიჩისა 1-ლი სორტი
4-იანი და 5-იანი ფუთი 11 მან.,
გირვან. 28 კაპ. უკეთუ სხვის სანთე-
ლი ჩვენს სანთელზე იაფი იყოს და

სიკეთით ჩვენსასა სჯობდეს, ესთხოვთ
ბბ-ნთ მსყიდველთ ხელჯონ ჩინი სან-
თელიც და შეადარონ სხვებისას.
ბოლუ. (5—3)

გაიცემა ქირით ექსპლუატაციისთვის

ორი ტყის დაზა

ამირ კავაზიის მხარეში:

პროტი, — 1500 დეს. რკინის გზაზე, მეორე — 1300 დეს. მდ. მტყვართან
პირობების შეტუობა შეიძლება:

თბილისში — ქურნალი «იურიდიკსკოე ობოზრენისა» აღმინისტრა-
ციაში,
ქუთაისში — დაფიცებული ვეკილის თანა-შემწესთან თ. ანტონ ნიკ.
ლორთქიფანიძესთან. (10—10)

გ ა ჯ რ ო ბ ა ს ა დ ე ბ ა ვ ე ბ ი თ

მაკასიის ამხანაგობისა (ბრაჭის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)
სალმამები ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.
ლაში ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი ხანბალი (კისტი)
და ყოველნაირი კუთნილებანი საღებავით ვაქრობისა — აქვე შეიძლე-
ბა იშოვონ ერთგვარი **თხალი ნივთიარება**, რომელიც სინოტიეს
აკილებს თავიდან. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული
(Enduit hydrofuge) — მიუკარებელია სინოტიესათვის.
სხვა ქალაქებშიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუკვინებ-
ლად. (70—30)

გაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბი- ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ- და-ხელ 1 იელისიდან 1 აგვისტომდე 1884 წ.	თბი- ლისის ბაზრებში და ხელ- და-ხელ 1 იელისიდან 1 აგვისტომდე 1884 წ.
გამომცხვარი ჰური რუ- სეთის ფეკილისა — — 1 გირ. 5 გ.	
აჭარის ფეკილისა: შარ- გელის ხარისხისა — — 1 გ. 2 1/2	
მეორისა — — — 1 გ. 2 გ.	
იმავე ფეკილ. თორნეში გამომცხვარი: პირველი ხარისხისა — 1 გ. 4 1/2	
მეორისა — — — 1 გ. 3 გ.	
მესამისა — — — 1 გ. 2 1/2	
ჭკარას-მამი ჰური: პირველი ხარის. ლაგაში 1 გ. 4 1/2	
მეორის ხარის. ლაგაში 1 გ. 3 1/2	
მესამისა — — — 1 გ. 3 გ.	
ძროხის ხორცი: პირველის ხარისხისა — 1 გ. 8 გ.	
მეორისა — — — 1 გ. 7 გ.	
სუკი . . . — 1 გ. 15 გ.	
ცხკის ხორცი — 1 გ. 8 გ.	
ლორის ხორცი: პირველის ხარისხისა — 1 გ. — გ.	
მეორისა — — — 1 გ. — გ.	

ჩინის ზვა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით	თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდან მარტო საშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.	თბილისიდან მარტო საშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)	თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)
ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.	ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.	ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით.	ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით.
ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.	ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. დამით.	ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. დამით.
მარტო საშურიდან მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით	მარტო საშურიდან მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით
ბაქადამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (მანსაკეობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)	ბაქადამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (მანსაკეობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)